„დროების“ რედაქცია—სასახლის ქუჩაზე, დ. სარაჯოვის სახლში.

ხელის-მოწერა მიიღება თბილისში, რედაქციაშივე ქუთაისში, ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში: გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Тифлисъ, ред. „Дроэба“

ფასი წლით 9 მ., 11 თვით 8 მ., 50კ. 10 თვით—8 მ., 9 თვ.—7 მ., 50კ. 8 თვ.—7 მ., 7 თვ.—6 მ. 6 თვ.—5 მ.. 5 თვ.—4 მ. 50 კ., 4 თვ. —4 მ., 3 თვ.—3 მ., 2 თვ.—2 მ., 1 თვ.—1 მ.

ცალკე ნომერი „დროებისა“ ღირს 5 კაპეიკი.

# დროება

გამოდის ყოველ-დღე ორშაბათს გარდა.

ფასი განცხადებისა: მეოთხე გვერდზე სტრიქონზე 8 კ., პირველზე 16 კ. სრული უკანასკნელი გვერდი 25 მანათი; პირველი 50 მ. რიცხვი სტრიქონებისა ითვლება მათგან დაჭერილის ადგილის ვსაობაზედ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდავ წერილებს რედაქცია ვერ დაუბრუნებს ავტორს.

Объявленія изъ Россіи, Царства Польскаго и заграницы принимаются только въ цент. конторѣ объявл. Л. Метцль., Москва, Петровка, № 6.

**„დროების“ ფასი ივნისის პირველიდამ წლის დამლევამდე 6 მანათი; სოფლის მასწავლებელთათვის 4 მანათი და 50 კაპ.**

## შინაური ქრონიკა

⊖⊖⊖ გუშინ, სამშაბათს, ორს საათზე ოლქის სასამართლომ გამოაცხადა თავის განაჩენი ყორღანოვისა და ტერ-მიკირტიჩიანცის საქმის შესახებ. სასამართლომ ყველანი გაამართლა, გარდა ტერ-შმოვანოვისა, რომელსაც წლით და ოთხი თვით ციხეში ჯდომა გადაუწყვიტა. პროკურორმა პროტესტი გამოაცხადა. საზოგადოებამ ეს გარდაწყვეტილება სასამართლოსი „ურას“ ძახილით მიიღო; მეტადრე სასიამოვნოდ დარჩა ბევრს გამართლება ანტონ ყორღანოვისა, რომელსაც ქალაქში ბევრი ნაცნობები და ნათესავები ჰყავს.

⊖⊖⊖ თუ სადამდის მიდის ცხინვალელების გაუმაძღრობა, ამას შემდეგი ფაქტი ამტკიცებს: გასულს მაისის თვეში ერთს გასათხოვარს ს—ის ქალს ქართველი საზოგადოების სასაფლაო შეუსყიდნია და სასამართლოს ბოქაულსაც ჩაუბარებია მისთვის. ამ ახალგაზდა ქალს, რუსეთში კურს დასრულებულს ბებიას, ერთი პირისათვის ფული უსესხებია და მერე მოვალეს რომ ველარ გადაუხდია ვალი საზოგადოების სასაფლაო გაუყიდვინებია. როგორ მოახერხა განათლებულმა ბებიამ ამისთანა საქმე, არ ვიცით. თუ განათლებული ბებია საბებიო საქმეშიაც ასე მოხერხებულად იქცევა, მაშინ კი სწორედ ალალია ნასყიდი სასაფლაო როგორც იმისთვის, ისე იმის გვარეულობისათვის.

⊖⊖⊖ წმ. ნინოს საქალებო სასწავლებლის სასარგებლოდ ივნისის ორს გამართული კონცერტიდამ ხარჯს გარდა 530 მან. შემოსულა.

⊖⊖⊖ „იტალიის“ სასტუმროში ერთს კაცს ოთახი დაუქერია და დილის 9 საათზედ მიუწვევია ბებია ვეიტკო, რომლისთვისაც ოქროს საათი თავის ძეწკვით შეუხსნია და დამალულა

⊖⊖⊖ ივნისის 3-სათვის დანიშნული სხდომა ქალაქის რჩევისა შიოევის სახლის თაობაზედ არ შესდგა, რადგანაც არ შესდგა საკმაო რიცხვი (36) ხმოსნებისა.

⊖⊖⊖ ივნისის 1-სა იყო სხდომა სამეურნეო საზოგადოებისა. ბ. ოუზეროვმა გააცნო საზოგადოებას დაწვრილებით პროექტები შესახებ წყალის გამყვანისა ბბ. მასკელესი და კონრადისა და დარწმუნა ყველანი, რომ ბ. კონრადის პროექტს უნდა მიეცეს უპირატესობა, რადგანაც ეს პროექტი სჯობს მასკელესას როგორც ტეხნიკური მხრით, აგრეთვე სიიაფით. ბ. ვეის-ფონ-ვეისენგოფმა გაათავა წაკითხვა თავისი გამოკვლევისა შესახებ ეგვიპტის ირრიგაციისა. ამან დაწვრილებით განუმარტა საზოგადოებას ინგლისელების პროექტი ნილოსის წყლის ამაღლებაზედ: თუ აასრულებს ეს პროექტი ინგლისელებმა, მაშინ მოირწყვება დიდი ადგილები რაც აქამდის არ ირწყვებოდა და იყო ისე უსარგებლოდაო. საზოგადოთ, სთქვა ბ. ლექტორმა, რომელი სახემწიფოს ხელშიაც იქნება ეგვიპტეს ირრიგაციის საქმე, თვითონ ეგვიპტეც იმისი იქნებაო, და ამისათვის ინგლისელები ესეთ ყურადღებას აქცევენ ამ საქმესაო.

⊖⊖⊖ ამ დღეებში ჩვენა ვნახეთ, ჩვენის დაუვიწყარის პოეტის, განსვენებულის თ. გ. ორბელიანის ნაქონი „დროების“ ძველი ნომრები პოეტის შენიშნვებით. აშკარადა სჩანს, რომ განსვენებული საკმაო ყურადღებას აქცევდა ჩვენს მწერლობას. მრავალი ზედ-წარწერანი ხსენებულს გაზეთის ნომრებზედ გვიჩვენებენ პოეტის ჭკუის მახვილობას და განუსაზღვრელს გრძნობას. ამ შენიშნვებში უპირველესი ადგილი უჭირავს ენის შესწორებას, შემდეგ ოხუნჯობას და ბოლოს მოწონებულის სტატიების ქებით დაჯილდოებას.

⊖⊖⊖ ჩვენ შევიტყვეთ, რომ ამ მოკ-

---

## მამა

### ამბავი

თხზ. გიუ-დე-მოპასანისა.

ფრანსუა ტესიე ბატინიოლში ცხოვრებდა. იგი სახალხო განათლების სამინისტროს უწყებაში მსახურებდა და ყოველ დღე ომნიბუსით პარიჟში მიდიოდა. ყოველთვის მასთან ერთად მიდიოდა ყმაწვილი ლამაზი შავგრემანი ქალი. ყოველ დღე ის ქალი გამოჩნდებოდა ხოლმე იმავე ქუჩის კუთხეში და ყოველთვის კარეტის მოწევნას ცდილობდა: იგი გარბოდა სუბუქად, ჩქარა და მოხდენილად. იგი მარდად ადიოდა ომნიბუსის კიბეზედ, ჯდებოდა კუთხეში და შემკრთალ თვალებით აქეთ-იქით აცქერდებოდა. ყოველ დღეს და ერთსა და იმავე საათზედ იგი თავის მაღაზიაში მიდიოდა.

ფრანსუა ტესიეს პირველ ნახვაზედვე შეუყვარდა ის ქალი. მას ეგონა, რომ ეს ქალი იყო ის იდეალი, რომელზედაც იგი ოცნებობდა.

ფრანსუა მას თვალს არ აშორებდა; იგი კი ასეთის ცქერით კრთებოდა, ფითრდებოდა და წითლდებოდა. ფრანსუამ შენიშნა ეს და უნდოდა მორიდებოდა, მაგრამ თავის უნებურად თვალს მაინც ვერ აშორებდა.

მალე მათ ერთმანეთი გაიცნეს, თუმცა არც ერთი სიტყვა ერმანეთისათვის არ უთქვამთ. ფრანსუა მას ადგილს უცლიდა ხოლმე, როდესაც ომნიბუსში ვიწროობა იყო, თვითონ კი მაღლა ჯდებოდა, თუმცა იქ ჯდომა არ ესიამოვნებოდა. ქალი წყნარად გაუღიმებდა ხოლმე და თუმცა ჯერ კიდევ მორცხობდა, მაგრამ მაინც არ ჯავრობდა მაზედ იმისთვის, რომ ყოველთვის უკან დასდევდა და თვალს არ აშორებდა.

ბოლოს მათ ერთმანეთთან ლაპარაკი დაიწყეს: იგინი ისე ლაპარაკობდენ თითქოს დიდის ხნის ნაცნობები არიანო. ასე ატარებდენ ომნიბუსში ყოველ დღე ნახევარს საათს და ეს დრო ფრანსუასათვის თავის სიცოცხლის უბედნიერესი დრო იყო. დანარჩენს დროს იგი სულ ამ ქალზედ ფიქრობდა: სიყვარულმა სრულიად შეიპყრო იგი. მას ასე ეგონა ჭკუიდამ ვიშლებიო და დიდს ბედნიერებად სთვლიდა ამ მშვენიერის არსების თავის საკუთრებად დაგულებას.

ქალი ყოველ დილით ართმევდა ფრანსუას ხელს და ეს მას დიდად ასიამოვნებდა. ყოველ დღე ფრანსუა გულის ცემით მოელოდა ამ ბედნიერს წამს, წინათვე ფიქრობდა, თუ ორივენი როგორ დასხდებოდენ ომნიბუსში და როგორ გაატარებდენ ბედნიერებით სავსე ნახევარ საათს. კვირა დღე მას დაუსრულებელ დღედ მიაჩნდა. ეტყობოდა ქალსაც უყვარდა იგი, რომ ერთხელ უქმე დღეს მასთან ერთად საუზმეს შეექცა მეზონ-ლაფიტში.

—

როდესაც ფრანსუა დანიშნულს ადგილას მივიდა, ქალი უკვე იქ უცდიდა. კაცმა სიამოვნებით გაიკვირვა; მაგრამ ქალმა კი უთხრა მას:

— შენთან მოლაპარაკება მსურს.

ქალი დაეყრდნო კაცის ხელზედ და მთელის სხეულით თრთოდა.

— მე არ მინდა თქვენ შეცდომაში შეგიყვანოთ, განაგრძო ქალმა. იცოდე, რომ მე პატიოსანი ქალი ვარ. მე თქვენ არ გამოგყვებით თუ არ შემომფიცავთ, პირობას არ დამიდებთ: არაფერს... არაფერს არ ჩაიდენ გასაკიცხს...

ქალი ყურებამდის გაწითლდა, კაცი კი მდუმარედ იყო; კაცს თითქოს კიდეც უხაროდა და თითქოს კიდეც ნაღვლობდა, არ იცოდა რა პასუხი მიეცა. მას რასაკვირველია უხაროდა, რომ ქალი ასეთი უზაკველი და მიუდგომელი იყო; მაგრამ მაინც კიდევ... მაინც კიდევ მთელს ღამეს ოცნებობდა თავის ბედნიერებაზედ, თავის ნეტარებაზედ... მაშინ კაცს სისხლი აუდუღდა. მას რასაკვირველია ეწყინებოდა, თუ რომ ის ქალი სუბუქის ყოფა-ქცევისა გამოდგებოდა: მაგრამ მაშინ მისი ოცნებანი აღსრულდებოდენ საჩქაროდ და სწრაფად ძვალად და კვალად ოცნებამ შეიპყრო მისი გონება და მოსვენებას არ აძლევდა. იგი გაჩუმებული იყო.

ქალმა კვალად დაუწყო ლაპარაკი და თვალებში ცრემლები მოერია:

— მე ეხლავე წავალ, თუ სიტყვას არ მომცემთ რომ პატივსა მცემთ.

კაცმა აღერსიანად ჩამოართვა ხელი და უთხრა:

— გაძლევთ სიტყვას. მე თქვენი ვარ. მე წრეს გასულს არაფერს მოვიქმედებ... არაფრით გაგაჯავრებ.

ქალი თითქოს დამშვიდდა და ოდნავის ღიმილით ჰკითხა:

— არ მამატყუებთ?

კაცმა პირ და-პირ თვალებში შეხედა და უთხრა:

— გაძლევთ პატიოსანს სიტყვას; გეფიცებით წმინდანებს და ყველას, რაც კი ჩემთვის ძვირფასია.

— აიღეთ ბილეთები, უთხრა მან.

გზაზედ მათ ველარ ილაპარაკეს, რადგანაც ომნიბუსი ხალხით გაჭედილი იყო.

ბოლოს იგინი მეზონ-ლაფიტში მივიდენ და მდინარესენას ნაპირზედ წავიდენ.

მზე გაჩახჩახებული იყო და მისი სხივები მდინარე სენაზედ ბრწყინავდენ. იგი მთლად მიდამოს ანათებდა—ბალახს და ხეხილებს; გულს სიამოვნებით აძგერებდა. ბედნიერებასა და სიხარულს ჰბადებდა მათს გულში. წყნარი ნიავი ჰაერს სიგრილით აზავებდა.

იგინი მარტო ორნი დასეირნობდენ, მდინარის სივრცეს უყურებდენ და ხარობდენ. წყნარი და მშვიდი ბედნიერება მათს გულს სიამით ავსებდა და ორივეს ისე ეგონათ, დედამიწაზედ აღარა ვცხოვრობთო.

ბოლოს ქალმა უთხრა:

— ვინ იცის, იქნება თქვენ მე გიჟად მთვლით?

— რათა? ჰკითხა მან.

— განა სისულელე არ არის, რომ მე თქვენ მარტო წამოგყევით სასეირნოდ?

— სულაც არა. აქ გასაკიცხი არაფერია.

— არა, სიტყუით! სწორედ რომ გასაკიცხია! მე თავის დღეში ასე არ მოვქცეულვარ. ეხლა მესმის, რომ ასე მოქცევა ცუდია, მაგრამ მაინც ვიქცევი. რომ იცოდეთ ერთნაირი

ლე ხანში გამოვა სანიმუშო ნომერი ახლად ნება-დართულის ქართულის გაზეთის „თეატრისა“.

ააა ჩვენ დაბეჯითებით გვატყობინებენ, რომ ტფილისში მცხოვრებ სტალიარებს განუზრახავთ შეადგინონ საზოგადოება, რომელიც გამართავს თავის საკუთარს სახელოსნოებს და მით თავს დაიხსნის სხვა-და-სხვა ჩარ ჩებისგანაო. არ შეგვიძლიან ამ გვარს განზრახვას არ თანა-უგრძნოთ მით უფრო, რომ პირ-და-პირ გამკეთებლებისაგან სყიდვა საზოგადოებასაც უფრო იაფად დაუჯდება

ააა ამ მოკლე ხანში გამოვა „ქართული ხრისტომატია“ შედგენილი ჩვენის ახალ-გაზდა პედაგოგის ბ. მ. ნასიძისაგან. ეს წიგნი დანიშნულია საშუალ სასწავლებელთა პირველ კლასების მოსწავლეთათვის, რომელთაც აქამდის ამ გვარი სახელ-მძღვანელო ქართულის ენისა არა ჰქონიათ.

## წერილები რედაქტორთან

ბატონო რედაქტორო!

მთხოვთ გამოაცხადოთ, რომ ის მშვენიერი სიტყვა, რომელიც „ნოვ. ობოზ.“ იყო დაბეჭდილი, ვითომ ჩემ ნათქვამად მე არ მეკუთვნის.—მე კრებისათვის პირად მასთან არა მომიხსენებია-რა რაცა ვსთქვი ხსვა სიტყვები იყო ნათქვამი აქ არც პოეტებს შევეხებივარ და არც ქართულ ენას.—ეტყობა, რომ მას შემთხვზელს ჩემ გულში ჩახტომა სდომებია, მაგრამ არც მე მაქვს იმოდენა გული და არც ეს უნდა იყოს ისე პატარა, რომ ჩაეტიოს.

აკაკი.

## სამართალი

ანტონ ყორღანოვის, სემიონოვის, ტერ-მიკირტიჩიანცის ქვრივის და სხვ საქმე.

(გაგრძელება *)

მაისის 31 გათავდა მოწმების კითხვა. მოწმების გარდა დანიშნული იყო ექსპერტიზა ყალბი დოკუმენტისა; ერთ დოკუმენტზედ ექსპერტებმა წაიკითხეს ამოყვანილი სიტყვები და ამით დოკუმენტების სიყალბე ცხადად დამტკიცდა. რაკი გაათავეს მოწმების გამოკითხვა, თავს-მჯდომარემ გამოაცხადა, რომ გამოძიება საქმისა გათავებულია და სამოსამართლო პალატის პროკურორის თანაშემწემ ბ. ბიკოვმა დაიწყო თავისი მბრალმდებელი სიტყვა. „ეს საქმე პირველის შეხედვით ძალიან რთულ და ძნელ საქმედ ეჩვენება კაცს, დაიწყო ბ. ბრალმდებელმა, ნამდვილად კი ეს ძალიან უბრალო და მარტივი საქმეა. უმთავრესი საგანი ამ საქმეში არის დოკუმენტების სიყალბის დამტკიცება და ესეც გამოძიების შემდეგ ძალიან გაადვილდა. ერთს დოკუმენტში შევამჩნიეთ სხვა ამოყვანილი ტექსტი, იმაზედ ლაპარაკი საჭირო აღარ არის. სხვა დოკუმენტებიც ხსენებული დოკუმენტის დამატებას შეადგენენ; მათი სიყალბეც დაამტკიცეს ექსპერტებმაც რომელთაც შეამჩნიეს, რომ ეს დოკუმენტები და ყველა ერთი ხელით, ერთი-და-იმავე შეცდომებით და იმავე სიტყვებით არის დაწერილი; და თუ პირველი დოკუმენტი არის ყალბი, ესენიც ყალბები უნდა იყვნენ. თუ ეს დოკუმენტები ყალბებია იმათ შემადგენელად და გადამწერად უნდა ვცნათ ტერ-შმოვანოვი, რომელმაც გამოაჩინა ეგ დოკუმენტები. რა საფიქრებელია ისა, ვითომც ტერ-შმოვანოვისთვის თითონ ქრისტეფორეს გადაეცეს შესანახად ეს დოკუმენტები. ქრისტეფორეს და მისი მეუღლის ბედი ამ დოკუმენტებზედ ჰკიდია, და იმან აიღო და ერთს ვილაცა, ყველასაგან საძაგელ და უსანდობო კაცად ცნობილს ტერ-შმოვანოვს გადასცა, რომელსაც არცკი იცნობდა ფარსაგად და იმის (ქრისტეფორეს) სახლში თავის დღეში არც კი გაუვლია. ვსთქვათ გადასცა კიდეც შესანახად; ტერ-შმოვანოვი მაშინვე გაიგებდა იმათ დიდს მნიშვნელობას, და როგორც ღარიბი კაცი, მაშინვე გამოუჩენდა ტერ-მიკირტიჩიანცის ქვრივს, რომელიც, რასაკვირველია, დააჯილდოვებდა მას. ტერ-შმოვანოვი კი ამ დოკუმენტეს მთელი ოთხი წლის განმავლობაში ინახავდა თავის „ზანდუკში“ და მერე ძლივს ვაი ვაგლახით გამოაჩინა. უფრო სარწმუნო არ არის, რომ ტერ-შმოვანოვს მხოლოდ მაშინ გაეკეთებინოს ეს დოკუმენტები, როცა გამოაჩინა; [illegible] ლაპარაკი როდესაც [illegible] ტერ-შმოვანოვი გატყდა და აღიარა დოკუმენტების სიყალბე ერთის სიტყვით ეს დოკუმენტები ყალბებია და მათი შემადგენელი არის ტერ-შმოვანოვი.

შემდეგ ბ. პროკურორის თანაშემწემ დაიწყო დანარჩენ დამნაშავეთა გამტყუნება; პროკურორმა მოიხსენა საქმის ყოველი გარემოებანი: ტერ-მიკირტიჩიანცის ქვრივმა, ყორღანოვმა და სემიონოვმა სამივემ ერთად დაუწყეს ბრძოლა მარტიროს ტერ-მიკირტიჩიანცს; ბევრნაირი საშუალება იხმარეს, რომ როგორმე მარტიროსი ცარიელზედ დეესოთ და მთელი ქონება ქრისტეფორესაგან ნაანდერძევი ქრისტეფორეს ქვრივს სოფიოსვე დარჩენოდა. მაგრამ ვერა ღონეს ვერ გახდენ და მაშინ იმედ-დაკარგულებმა მიმართეს ტერ-შმოვანოვსა, რომლის შემწეობითაც უნდა სულ ბოლო მოეღოთ მარტიროზისათვის. ეხლა ესენი თითონ იყრიან ბრალსა და მთლად ტერ-შმოვანოვს ახვევენ თავზედ, „იმან მოგვატყუა, იმან შეგვაცდინა, ჩვენა ვართ მსხვერპლი მისი ვერაგობისაო.“ მაგრამ ესეც დასაჯერი არ არისო, ამათ იცოდენ რომ თუნდა კიდეც ჰქონოდა ქრისტეფორეს დოკუმენტები ტერ-შმოვანოვს არასოდეს არ გადასცემდა. ტერ-შმოვანოვიც ერთი წლის განმავლობაში არ დაამბებდა ზანდუკში, არამედ მაშინვე გამოაჩენდა. ვსთქვათ კიდეც სჯეროდათ დოკუმენტების სინამდვილე და მინას

*) იხილე „დროება“ № 112.

---

ცხოვრება რანაირ მამწყინდა! მე დედასთან ერთად ვცხოვრობ. მან ბევრი მწუხარება გამოიარა: იგი ყოველთვის დადარდიანებულია! მე ვცდილობ არ მოვიწყინო, გავმხიარულდე, გავიცინო; მაგრამ ვერ ვახერხებ. სულ ერთია: მაინც კარგი არა ვქენი, რომ აქ მოვედი? ეს ხომ მართალია?

ფრანსუას უნდოდა ეკოცნა მისთვის, მაგრამ ქალი შორს გახტა და ნება არ მისცა.

— ბატონო ფრანსუა! თქვენ მე სიტყვა მამეცით, უთხრა მან გაჯავრებით.

იგინი მეზონ-ლაფიტში დაბრუნდენ. აქ მათ ისაუზმეს დიდი მუხების ჩრდილ-ქვეშ, ზღვის ნაპირზედ.

გაზაფხულის ჰაერმა ორივეს გული აუნთო. ძალიან ცხელოდა.

საუზმის შემდეგ ქალაში სასეირნოდ წავიდენ.

მდინარე ნახევრად უვლი და სოფელს გარს და მის კამკამს სიღრმეში სახლები მოჩანდენ. ქალი ყვავილებს ჰკრეფდა და კონას ჰკრავდა; კაცი კი გულიანად მღეროდა და მას უკან მისდევდა. უეცრად შესდგა იგი და დაუძახა:

— ერთი შეხედე!

— მათ წინ ყვავილებით მოფენილი მდელო სჩანდა; თითქოს ყვავილებიანი დიდი ხალიჩაა გაშლილიო.

ქალი შესდგა და ჩუმად ამბობდა:

— რა კარგია აქ ყოფნა!

— მათ განვლეს მდელო და წავიდენ გორისკენ, საიდამაც მთლად პარიჟს ყვავილები მიჰქონდა. ბუჩქებს შორის ვიწრო ბილიკი მიდიოდა. იგინი წავიდენ ამ ბილიკზედ და ერთს ალაგს დასასვენებლად დასხდენ,

აქეთ-იქიდამ ჭრიჭინების ჭრიალი მოისმოდა. ჩამავალი მზე მდელოს წითელ შუქს აყენებდა, ყვავილები სასიამოვნო სუნს ჰფენდენ არე-მარეს.

შორს ზარის რეკა ისმოდა.

იგინი გადეხვივნენ ერთმანეთს და ყოველისფერი დაივიწყეს... ქალი გაბრუებული იყო და თვითონაც არ იცოდა რა უნდოდა: იგი სრულიად მიენდო კაცს.

ქალი გამოერკვა და შიშის ზარმა მოიცვა, განწირულებამ შეიპყრო, პირზედ ხელი მიიფარა და ტირილი დაიწყო.

კაცი ცდილობდა დაეშოშმინებინა. მაგრამ იგი მას ყურს არ უგდებდა და შინისკენ ეჩქარებოდა. ჩქარის ნაბიჯით მიდიოდა და განუწყვეტლად იძახოდა:

— ღმერთო ჩემო! ღმერთო ჩემო!

— ლუიზა! ლუიზა! ეუბნებოდა იგი:—გთხოვ მოიცადო.

ქალი მას ყურადღებას არ აქცევდა და როგორც-კი პარიჟამდინ მივიდენ იგი ისე გაშორდა, რომ არც-კი გამოეთხოვა.

—

როდესაც მეორე დღეს ფრანსუა ქალს ომნიბუსში შეხვდა, შეშინდა: ქალი-კი გაფითრდა და თავი ჩაღუნა.

— მე შენ უნდა მოგელაპარაკო, უთხრა ქალმა ფრანსუას. წავიდეთ ბულვარზედ.

როგორც-კი ორივენი მარტო დარჩნენ, ქალმა უთხრა ფრანსუას:

— ჩვენ ერთმანეთს უნდა გავშორდეთ. გუშინდელს აქეთ მე შენი დანახვა აღარ შემიძლიან.

— მერე რისთვის? ლუღლუღებდა ფრანსუა.

— იმისთვის რომ არ შემიძლიან. გუშინდელი საქციელი არ მამეტევება და აღარ მინდა კიდევ ისე მოვიქცე.

მან დაუწყო ქალს ვედრება, ხვეწნა, დარიგება. ძას იგი გატაცებით უყვარდა და დასაკუთრება უნდოდა.

ქალი საშინელს უარზედ იდგა.

— არა! არა! არ შემიძლიან.

იგინი გაიყარნენ.

გაიარა რვა დღემ, ფრანსუა მას ვერა ხედავდა და მისი გარემოებისა არაფერი იცოდა. არც მისი ბინა იცოდა და ეგონა, რომ სამუდამოდ დავკარგეო.

მეცხრე დღეს საღამოზედ კარის ზარი ვიღამაც დარეკა. ფრანსუა წავიდა გასაღებად: ეს ის ქალი იყო.

იგი ჩამოეკიდა კისერზედ და აღარ ეწინააღმდეგებოდა. სამს თვეს იცხოვრა ქალმა ფრანსუასთან და... თავი მოაბეზრა, მოაწყინა, გული აუსუყა. ერთხელ უეცრად უთხრა მას, რომ მძიმეთ ვარო. ფრანსუას მაშინ უფრო მოუნდა მისი დატოვება და სულ იმაზედ ფიქრობდა თუ როგორ მოეშორებინა. ბოლოს გადასწყვიტა: ღამე ჩუმად სხვა სახლში გადავიდა.

ასეთმა საქციელმა ქალს ისეი თავზარი დასცა, რომ ფრანსუას ძებნა აღარ დაუწყო.

იგი დაბრუნდა თავის დედასთან, დაემხო მის წინაშე და ყოველის ფერი უამბო... რამდენიმე თვის შემდეგ მას შვილიც მიეცა.

—

წარვიდენ წელნი. ფრანსუა ტესიე კარგა მობერდა; მაგრამ მისი ცხოვრება ძველებურად უფერულად და ერთნაირად მიმდინარეობდა. იგი არც არავის მოელოდა და არც არაფრის იმედი ჰქონდა. ყოველ დღე ერთსა-და-იმავე საათზედ იღვიძებდა, ერთსა-და-იმავე ქუჩაზედ დადიოდა, ერთსა-და-იმავე სახლის კარებში შედიოდა, ერთსა-და-იმავე საქმეს აკეთებდა. იგი ყველგან მარტოობას გრძნობდა: სამსახურში მეგობართ შორისაც და სახლშიაც. ყოველ თვე 100 ფრანკი რჩებოდა და სიბერისათვის ინახავდა.

ყოველ კვირას ელისეის ველზედ გადიოდა სასეირნოდ, უყურებდა მოსიარულე ხალხს, ეკიპაჟებს, ლამაზ ქალებს.

ბრუნდებოდა შინ და მეორე დღეს ერთ-ერთს თავის ამხანაგს ეუბნებოდა:

— გუშინ რა ბევრი ხალხი იყო სასეირნოდ?

ერთხელ იგი მასოს ბაღში შევიდა. ზაფხულის მშვენიერი დილა იყო.

განიერს და გრძელს ხეივნებზედ ბავშვები თამაშობდენ, დედები და გამდლები კი უყურებდენ.

ფრანსუა ტესიე უეცრად დაკანკალდა.

მის ახლოს ქალმა გაიარა. მას ორი ბავშვი მიჰყავდა: ვაჟი ათის წლისა და ქალი ოთხისა. ფრანსუამ იცნო იგი: ეს ის ქალი იყო.

ფრანსუამ ერთი ნაბიჯი გადადგა და სკამეიკაზედ დაეცა. გული საშინლად უცემდა: ქალმა ვერ იცნო იგი. ფრანსუას ერთხელ კიდევ უნდოდა მისი დანახვა და უკან დაბრუნდა. ქალი სკამზედ იჯდა. ვაჟის შვილი გვერდით უდგა და პატარა ქალი კი მიწას ჩიჩქნიდა. დიაღ! ეს ის ქალია. სუფთად და სადად არის ჩაცმული, თავი კარგად უჭირავს.

ფრანსუას არ შეეძლო მასთან მი-

ტერ-შმოვანოვმა მოატყუა, მაშ როდესაც სასამართლომ სცნო ეს დოკუმენტები ყალბად, რატომ მაშინვე მაგათ ბრალი არ აიყარეს, და ტერ-შმოვანოვს თავი არ დაანებეს, და არ მოუცადეს საქმის გათავებას. თუ კარგა გათავდებოდა, მაშინ ხომ გამოიყენებდენ დოკუმენტებს და თუ ყალბად იცნობდენ, მაშინ კიდე მოსთხოვდენ სამართლის წესით პასუხს ბ. ტერ-შმოვანოვს. არა ესენი ესე არ მოიქცნენ. ამათ მიიღეს დიდი მონაწილეობა ტერ-შმოვანოვის საქმეში; დაუჭირეს ნაფაცი ვექილი ბ. ჩემესოვი. შემდეგ დაიქირავეს აგენტები მოწმების შესასყიდად და ყოველ-ნაირად ცდილობდენ რომ დეეფარათ ტერ-შმოვანოვის ბოროტ-მოქმედება. იქნება დამცველებმა თქვან, რომ ტერ-მიკირტიჩიანციც ჰქრთამავდა მოწმებსაო, მაგრამ ეს ნამდვილად ვერ დამტკიცდა.

ერთის სიტყვით, სთქვა ბ. პროკურორის თანაშემწემ, ცხადია რომ ტერ-მიკირტიჩიანცის ქვრივი, ყორღანოვი და სემიონოვი სამივე ერთად მონაწილენი არიან ტერ-შმოვანოვის ბოროტ-მოქმედებაში; ამის შემდეგ პროკურორის თანაშემწემ განიხილა ცალ-ცალკე დანაშაულობა სამივე დამნაშავისა. ტერ-მიკირტიჩიანცის ქვრივის თანხმობა რომ არა ყოფილიყო, მაშინ ეს საქმე სულაც არ დაიბადებოდა, ინიციატივა ამ საქმეში ეკუთვნის იმას; შემდეგ კი, რაკი საქმე დაიწყო, უმთავრესი მნიშვნელობა ეკუთვნის ბ. ყორღანოვს, რომელიც არა ზოგავდა ამ საქმისათვის არც ფულს, არც არავითარს სხვა ხარჯს. სემიონოვი კი იურის-კონსულტია ამ საქმისა; მისი რჩევითა და დარიგებით არის შედგენილი ყალბი დოკუმენტები. ტერ-მიკირტიჩიანცის ქვრივი და სემიონოვი, რომელსაც დიდს ფულს დაჰპირდენ, მოქმედებდენ ფულის მოყვარეობით, ანგარეობით და ყორღანოვი კი არ ვიცი, რა მოტივით მოქმნდებდა, სთქვა ბ. ბრალ-მდებელმა, მაგრამ ეს სულ ერთია საქმისათვის, მაინ-და-მაიაც ესენი სამივე მონაწილენი და ამხანაგები არიანო ტერ-შმოვიანოვის ბოროტ მოქმედებაში და ვსთხოვ სასამართლოს, რომ იგინი იცნას დამნაშავედ: ეს ბოროტ-მოქმედება მოხსენებულია დასჯათა წესდების მე 1692 მუხლში. მინას ტერ-შმოვანოვისა არის უმთავრესი დამნაშავე. ტერ-მიკირტიჩიანცის ქვრივი სოფიო მიხეილის ასული, ანტონ სოლომონის-ძე ყორღანოვი და თევდორე მიხეილის-ძე სემიონოვი არიან-მისი ამხანაგები. ყველა დამნაშავენი უნდა დაისაჯენ წესდების მე 31 მუხლის ძალით: ტერ-შმოვანოვი უნდა გაიგზავნოს არესტანტის როტებში $1\frac{1}{2}$ წლით, ხოლო უმაღლესი მანიფესტის ძალით 1 წლით; დანარჩენთ უნდა ჩამოერთოს ყოველი რაც განსაკუთრებითი პირადი ღირსება და უფლება აქვთ მინიჭებული და გაიგზავნონ ციმბირის არა შორეულ გუბერნიებში, მხოლოდ მიეცესთ ნებართვა, რომ მანიფესტის ძალით 15 წლის შემდეგ დაბრუნდენ.

(გაგრძელება შემდეგ)

# ტელეგრამები

„ჩრდილოეთის სააგენტოსი"

ივნისის 3-ს.

**ბერლინი.** დღეს გარდაიცვალა პრინცი ფრიდრიხ-კარლოსი.

**ლონდონი.** სალისბიურიმ იკისრა ახალი კაბინეტის შედგენა მხოლოდ იმ პირობით-კი, რომ საზოგადოებათა პალატის უმეტესობამ არ დაბრკოლოს ახალი სამინისტრო, სანამ მომავალ ნოემბერში ახალი საპარლამენტო ამორჩევანი მოხდებოდეს.

**პარიჟი.** ადმირალი კურბე გარდაიცვალა.

## ბირჟა

პეტერბურგი მაისის 31.

| | |
|---|---|
| 100 მანათის კურსი სამის თვით ლონდონზე — | — $24\frac{1}{3}$, $24\frac{1}{2}$ $24\frac{3}{8}$ |
| 100 მანათის კურსი სამის თვით ჰამბურგზე — | — $207\frac{1}{2}$ $208\frac{1}{4}$ $207\frac{1}{4}$ |
| 100 მან. კურსი სამის თვით პარიჟზე — | — $256\frac{3}{4}$ $257\frac{1}{4}$ $256\frac{8}{4}$ |
| პოლუიმპერიალები | — 8 მ. 12 კ. გაყ. |
| ტამოჟნის კუპონები | — 8 მ. 11 კ. გაყ. |
| ვეცხლის მანათი | — 1 მ. 28 კ. გაყ. |
| ბირჟის დისკონტი — | — 6 და $6\frac{3}{4}$% |
| 5% ბილეთები სახელმწიფო ბანკისა 100 და 1000 მან. პირველი გამოცემისა — — | — 98 მ. 87 კ. გაყ. |
| მეორე გამოცემისა | — 97 მ. 87 კ. გაყ. |
| მესამე გამოცემისა | — [illegible] |
| მეოთხე გამოც. — | — $97\frac{1}{4}$ მ. გაყ. |
| მეხუთე გამოც. — | — $97\frac{1}{4}$ მ. გაყ. |
| 5% ალმოს. სესხ. 100 და 1000 მან. — | — 95 მ. 12 კ. გაყ. |
| მეორე გამოც. — | — $94\frac{3}{4}$ მ. გაყ. |
| მესამე გამოც. — | — 95 მ. გაყ. |
| 5% მომგები ბილეთები I შინაგანის სესხისა | — $222\frac{1}{2}$ მ. გაყ. |
| 5% მომგები ბილეთები II შინაგანის სესხისა | — $209\frac{1}{4}$ მ. გაყ. |
| ოქროს რენტა — | — 170 მ. გაყ. |
| თბილისის სადგილ-მამულო ბანკის გირავნობ. ფურცლები — — | — 27 წ. 89 მ. გამყ. 43 წ. $88\frac{3}{4}$ მ. გამყ. |
| ქუთაისის სადგილ-მამულო ბანკის გირ. ფურც. | 18 წ. 91 მ. გამყ. 43 წ. 90 მ. გამყ. |

# ცნობანი

**საავადმყოფოს დირექტორი ბ-ნი ვერმიშევი** ამით აცხადებს რომ ქ. თბილისის მოქალაქეთა მიერ გარეშე მოსიარულე ავადმყოფთათვის დაარსებულს საავადმყოფოში 1866 წლის აპრილის 4-ის მოსაგონებლად შემოღებული არის მცხოვრებთა შეღავათისათვის ღამღამობით მორიგად ყოფნა ბბ. ექიმთა და ბებიათა.

**ექიმები:**

**არუთინიანი**, ორშაბათობით, ხუთშაბათობით და კვირაობით.

**კორონა**, სამშაბათობით და შაბათობით.

**მელიქ-ფარსადანოვი**, ოთხშაბათობით და პარასკევობით.

**ბებიები:**

**ფილჩაკოვისა**, სამშაბათობით.

სვლა და შორიდამ ადევნებდა თვალს. ბავშმა თავი მაღლა აიღო. ფრანსუა ტესიე შეკრთა. დიაღ! ეს ჩემი შვილიაო, სთქვა მან და უფრო ჩააცქერდა და გაიგო, რომ ეს ბავშვი იმისთანა სახისა იყო, რა სახისაც თვით ფრანსუა იყო ამ ათი წლის წინად.

იგი დიდხანს იდგა ერთ ადგილზედ: ელოდა ქალი როდის წავიდოდა, რომ უკან გაჰყოლოდა.

ფრანსუას მთელს ღამეს არ დასძინებია. სულ თავის შვილი უდგა თვალ წინ.

იგი ქალს შორი-ახლო გაჰყვა უკან, შეკრიბა ცნობები და გაიგო, რომ იგი გათხოვილიყო კარგს, პატიოსანს კაცზედ, რომელსაც ძალიან შესცოდებოდა, როდესაც მისი უბედურება გაეგო. ამ კაცმა სრულიად აპატივა ქალს დანაშაული და ასე გასინჯეთ ფრანსუა ტესიეს შვილიც კი იშვილა.

ფრანსუამ მოსოს ბაღში ყოველ კვირა სიარული დაიწყო. ყოველთვის ხედავდა იგი ნაცნობს ქალს და ყოველთვის უნდოდა მოხვეოდა თავის შვილს, ეკოცნა, მერე ხელი დაეჭირა და ჩუმად გაექცია სხვაგან.

მარტოობა საშინლად აწუხებდა მას; მოსწყინდა მარტოდ-მარტო ცხოვრება; არავის არ უყვარდა იგი, არავინ ათბობდა მის გულს, არავინ არა ზრუნავდა მაზედ და არავინ არაფერს უმზადებდა ნაზის ხელით. მას გულს უხრავდა ჭმუნვარება და საშინლად სწყუროდა სიყვარული და ოჯახური ალერსიანი ცხოვრება. ხშირად ცრემლებს აფრქვევდა. რისთვის გაუშვა იგი? რად უარ-ჰყო თავის შვილი? იგი ყველაფერს თავის თავს აბრალებდა.

იგი იტანჯებოდა, სწუხდა და ყოველთვის ფიქრობდა პატარა არსებაზედ, რომელსაც იგი თავის შვილს ვერ დაუძახებდა...

ბოლოს მას საშინლად დაუმძიმდა დარდით გული და გადასწყვიტა ქალს პირ-და-პირ დალაპარაკებოდა.

ერთხელ იგინი ერთმანეთს შეხვდენ და შიშისაგან მკრთოლვარე ფრანსუამ უთხრა ჩუმად:

— თქვენ მე ვერ მიცნობთ?

ქალმა შეხედა მას; შეჰყვირა, ბავშვებს ხელი დაუჭირა და გაიქცა.

ფრანსუა მივიდა შინ და მწარედ დაიწყო ტირილი, ტიროდა როგორც ბავშვი.

დრო გადიოდა, რამდენმამე თვემ გაირბინა. ფრანსუა მას ველარა ხედავდა, მაგრამ თავისგან დატოვებული შვილი დღე-და-ღამ გონებიდამ არა შორდებოდა.

იგი ფიქრობდა: ერთხელ რომ ნება მამცენ ვაკოცო ჩემს შვილს, მოვეხვიო და გულში ჩავიკრა, ამ ერთი წამის ბედნიერებისთვის მთელს ჩემს სიცოცხლეს შევსწირავდიო.

მან მისწერა ქალს წერილი, მაგრამ ქალმა პასუხი არ გასცა. ოცჯერ მეტჯერ მისწერა და არც ერთხელ პასუხი არ მიიღო. მაშინ მან განიზრახა მოეხმარა უკანასკნელი საშუალება. მისთვის სულ ერთი იყო, თუ გინდ რომ კიდეც მოეკლათ, ოღონდ კი შვილი ენახა. მან მისწერა ქალის ქმარს:

„მოწყალეო ხემწიფევ!

„ვიცი რომ მე თქვენთვის საძაგელი, საზიზღარი ვარ და ჩემი სახელის ამოკითხვას არც-კი ისურვებთ. მაგრამ მწუხარება ისე მტანჯავს, რომ მხოლოდ თქვენი იმედი მაქვს.

„მთხოვთ ნება მამცეთ მცირე ხანს გელაპარაკოთ.

„თქვენი პატივისმცემელი და სხვ.".

მეორე დღეს მას პასუხი მოუვიდა:

„მოწყალეო ხემწიფევ!

„სამშაბათს, ხუთს საათზედ მოგელით".

—

კიბეზედ ასვლის დროს ფრანსუა ტესიე მალ-მალ დგებოდა., გულს ძაგი-ძუგი გაჰქონდა. მღელვარებისგან სული ყელში ებჯინებოდა და ძლივს ადიოდა კიბეზედ.

მესამე სართულში რომ ავიდა, ზარი ჩამორეკა, გამდელმა კარი გაუღო.

— აქა დგას ბატონი ფლამელი

— დიაღ. მობძანდით.

გაუღეს კარები სასტუმრო ოთახისა. იქ ჯერ არავინ იყო. იგი გონება დაბნეული იდგა და ელოდა თუ რა მოხდებოდა. მეორე ოთახის კარებიდამ მაღალი, შავტანისამოს ჩაცმული კაცი გამოვიდა. მან სთხოვა ფრანსუას დამჯდარიყო.

ფრანსუა ტესიე დაჯდა და დაიწყო:

— მოწყალეო ხემწიფევ... მოწყალეო ხემწიფევ... ვგონებ თქვენ არ იცით მე ვინა ვარ... თუ იცით...

ბატონმა ფლამელმა სიტყვა გააწყვეტინა:

— ნუ სწუხდებით, ყველაფერი ვიცი. ცოლმა ყოველის ფერი მითხრა.

ფლამელი მშვიდად ელაპარაკებოდა. ეტყობოდა, რომ იგი არა ჯავრობდა და ყოველის ფერი მიეტევებინა.

ფრანსუა ტესიემ განაგრძო:

— მაშ აი რაშია საქმე. მე დარდი მკლავს. გულით მინდა ერთხელ მაინც მოვეხვიო... ბავშვს...

ბატონი ფლამელი წამოდგა, ბუხართან მივიდა და ზარი დააწკარუნა. გამდელი შემოვიდა და უთხრა მას:

— ლუის უთხარ აქ შემოვიდეს.

გამდელი გავიდა. ფრანსუა და ტესიე გაჩუმებულნი ისხდენ, რადგანაც სათქმელი აღარა ჰქონდათრა.

ოთახში ათი წლის ბავშვმა შემოირბინა, თამამად მივიდა მასთან, ვისაც თავის მამად რაცხდა, მაგრამ უცხო კაცი რომ დაინახა შეკრთა.

ბატონმა ფლამელმა აკოცა მას შუბლში და უთხრა.

— ეხლა მიდი და იმ კაც აკოცე.

ბავშვი საყვარლად მივიდა და თვალებში დაუწყო ცქერა.

ფრანსუა ტესიე წამოდგა. შლიაპა ხელიდამ გავარდა, ფეხზედ ძლივს იდგა. იგი ეალერსებოდა შვილს. რომ ალერსი არ დაემალა, ბატონი ფლამელი მივიდა ფანჯარასთან და ქუჩაში დაიწყო ცქერა.

ბავშვი გაკვირვებული და შემკრთალი იყო. მან აიღო შლიაპა და უცნობს კაცს მისცა.

მაშინ ფრანსუამ დაუჭირა მას ხელები, მოეხვია, ჩაიკრა გულში და დაუკოცნა პირი, თვალები, ლოყები და თმა.

ბავშვი შეშინდა და ცდილობდა უცნობს კაცს ხელიდამ გაშვებოდა.

ფრანსუა ტესიემ უცბად დასვა იგი ძირს:

— მშვიდობით! მშვიდობით! დაიძახა ფრანსუამ და ქურდისავით გაიქცა.

**ბაგინოვისა**, ორშაბათობით და პარასკევობით.

**სტეფანოვისა**, ოთხშაბათობით და შაბათობით.

**ლოქშისა**, ხუთშაბათობით და კვირაობით.

# განცხადებანი

ევროპის ბაღში



დიდი ქარის გამო, რომელიც მიშლის დიდი ტილოს გაჭიმვას, ჩემი პირველი წარმოდგენა გადაიდვა და გაიმართება

**პარასკევს ივნისის 7-ს.**

ფიზიკოსი ვ. დერინგი.

ნაფიცი ვექილი

## ა. გ. ჭყონია

გადავიდა სადგომად ბაზრის ქუჩაში, თამამშევის სახლში № 11, სადგური № 13. (5—4)


## სქემა

გირავოს ფურცელთა ქუთაისის თავად-აზნაურთ საადგილ-მამულო ბანკისა, გამოსულთა მეშვიდმეტე XVII ტირაჟში 1 მაისს 1885 წლისა, 61800 მანეთისა.

ა) 43 1/ წლიანნი.
500 მანეთიანნი.

3 სერიისა — — № 24.

100 მანეთიანნი.

2 სერიისა — — № 18.
4 „ — — №№ 24 და 41.
5 „ — — „ „ 120, 132, 140 და 181.
6 „ — — „ „ 13, 63, 124 და 140.
7 „ — — „ „ 79, 220 და 281.

შემდგომის სერიებისა — „ „ 931, 940, 971, 972, 983, 995, 1006, 1010, 1015, 1018, 1040, 1046, 1076, 1095, 1103, 1118, 1120, და 1152.

ბ) 18 7/12 წლიანნი.
1000 მანეთიანნი,

2 სერიისა — — № 51 და 57.
3 „ — — № 16.
7 „ — — №№ 12 და 80.

შემდგომის სერიებისა №№ 302, 340, 343, 354, 398, 545, 547, 653, 704, 753, 830, 871, 896, 923, 982, 1043, 1093, 1094, 1215, 1265, 1348, 1368, 1452, 1501, 1710, 1743, 1749, 1806, 1807, 1919, 1837, 1942, 1989, 2189, 2216, 2225, 2247, 2257, 2,404, 2540, 2563, 2572, და 2602.

500 მანეთიანნი.

4 სერიისა — — №№ 18 და 33.
7 „ — — „ „ 20 და 40.

შემდგომის სერიებისა — „ „ 270, 326, 359, 454, 545, 586, 645, და 675.

100 მანეთიანნი.

3 სერიისა — — №№ 7,19, 54, და 56.
4 „ — — „ „ 26, 34, და 60.
6 „ — — „ „ 11, 19, 33, 38 და 47.
7 7 — — „ › 6, 103, 140, 239 და 246.

შემდგომის სერიებისა „ „ 820, 825, 875, 896, 934, 991, 1013, 1071, 1072, 1180, 1187, 1231, 1252, 1317, 1320, 1463, 1505, 1543, 1615, 1623, 1889, 1924, 1976 და 1984.

გირავოს ფურცელნი, გამოსულნი უწინდელს ტირაჟებში, მაგრამ საზღვევლად ჯერ წარმოუდგენელი.

| №№ სერიებისა | №№ გირავოს ფურცელთა | სარგებელი ისპობა. |
|---|---|---|
| ა) 43 1/2 წლიანნი. 500 მანეთიანნი. | | |
| 3 — — — | 18 — — — | იანვარს 2 1883 წ |
| „ — — — | 85 — — — | „ 2 1885 „ |
| 4 — — — | 34 — — — | „ „ „ „ |
| 100 მანათიანნი. | | |
| 3 — — — | 2 — — — | ივლისის 1 1881 „ |
| „ — — — | 1 და 4 — — — | ივლისის 1 1883 „ |
| 4 — — — | 71 — — — | იანვრის 2 1880 „ |
| „ — — — | 30 — — — | ივლისს 1 1884 „ |
| „ — — — | 15 — — — | იანვრის 2 1883 „ |
| 5 — — — | 183 — — — | იანვრის 2 1882 „ |
| „ — — — | 190 — — — | იანვრის 2 1885 „ |
| 6 — — — | 84 — — — | ივლისის 1 1884 „ |
| „ — — — | 101 — — — | იანვრის 2 1882 „ |
| 7 — — — | 47 — — — | იანვრის 2 1884 „ |
| „ — — — | 190 — — — | იანვრის 2 1885 „ |
| „ — — — | 289 — — — | ივლისის 1 1884 „ |
| შემდგომის სერიებისა: | 975, 998 და 1019 — | იანვრის 2 1884 „ |
| | 943 — — — | ივლისის 1 1882 „ |
| | 967, 1004 და 1027 — | იანვრის 2 1883 „ |
| | 963 და 1005 — — | ივლისის 1 1883 „ |
| | 992 და 1028 — — | ივლისის 1 1884 „ |
| | 995 და 1064 — — | იანვრის 2 1885 „ |
| ბ) 18 7/12 წლიანნი. 1000 მანეთიანნი | | |
| 2 — — — | 13 — — — | იანვრის 2 1885 „ |
| 7 — — — | 76 | ივლისის 1 1884 „ |
| „ — — — | 81 — — | იანვრის 2 1885 „ |
| შემდგომის სერიებისა: | 1192 და 2045 | ივლისის 1 1884 „ |
| | 1165 და 1896 — — | ივლისის 1 1883 „ |
| | 2320 — — — | იანვრის 2 1884 „ |
| | 1305 და 2179 — — | იანვრის 2 1885 „ |
| 500 მანათიანნი. | | |
| 4 — — — | 49 — — — | ივლისის 1 1884 „ |
| 5 — — — | 1 — — — | ივლისის 1 1882 „ |
| 7 — — — | 42 — — | ივლისის 1 1883 „ |
| „ — — — | 27 — — — | იანვრის 2 1885 „ |
| შემდგომის სერიებისა: | 299 — — — | ივლისის 1 1884 „ |
| | 268 — — — | ივლისის 1 1883 „ |
| | 435 და 598 — — | იანვრის 2 1883 „ |
| | 512 — — — | იანვრის 2 1885 „ |
| 100 მანათიანნი. | | |
| 3 — — — | 46 — — — | ივლისის 1 1884 „ |
| „ — — — | 48 — — — | იანვრის 2 1884 „ |
| „ — — — | 51 — — — | იანვრის 2 1885 „ |
| 4 — — — | 41 — — | იანვრის 2 1884 „ |
| 6 — — — | 13 — — — | ივლისის 1 1883 „ |
| „ — — — | 9 და 27 — — | იანვრის 2 1885 „ |
| 7 — — — | 197 — — — | ივლისის 1 1882 „ |
| „ — — — | 216 — — — | იანვრის 2 1885 „ |
| შემდგომის სერიებისა: | 1001 — — — | იანვრის 2 1884 „ |
| | 1003 — — — | ივლისის 1 1882 „ |
| | 1364 — — — | იანვრის 2 1883 „ |
| | 1372 — — — | იანვრის 2 1884 „ |
| | 1459 და 1608 — | იანვრის 2 1883 „ |
| | 1810 — — — | ივლისის 1 1884 „ |
| | 782, 787, 1042, 1258, 1310 და 1576 — — | იანვრის 2 1885 „ |

### შენიშვნანი.

ა) ზღვევა გირაოს ფურცელთა, გამოსულთა ამა მეჩვიდმეტე ტირაჟში, და აგრეთვე მიმდინარე კუპონთა დაიწყება პირველის ივლისიდან ამა 1885 წ. და შემდეგ, ამ დროიდგანვე მოისპობა სარგებელი ამა ფურცელთა.

ბ) საზღვეველად წარმოდგენილთა გირავოს ფურცელთა ყველა კუპონები ზედ უნდა ჰქონდეს სარგებლის მოსპობის ვადამდე; ხოლო უკეთუ ამ კუპონების რიცხვიდან რომელიმე დააკლდა, მაშინ ამ დანაკლისის კუპონების ფასი გამოირიცხება გირავოს ფურცლის საზღვეველის ფულისაგან.

გ) ზღვევა გირავოს ფურცელთა და მათთა კუპონთა მოხდება:

ქ. ქუთაისს ბანკის სამმართველოში.
„ ს.-პეტერბურგს—სახემწიფო ბანკში და ვაველბერგის საბანკირო კანტორაში.
„ მოსკოვს, ოდესსას და როსტოვს (დონის მდინარესთან) - სახემწიფო ბანკის ადგილობრივს კანტორებში.
„ ვარშავას—ვაველბერგის საბანკირო კანტორაში
„ ტფილისს, ნიჟნი-ნოვოგოროდს, ვლადიკავკავს და ბაქოს—სახემწიფო ბანკის ადგილობრივს განყოფილობაებში.

დ) ამ საქმეში არიან ნაჩვენებნი №№ მხოლოდ პირველთა შვიდთა სერიათა, მისთვის რომ გირავოს ფურცელთა №№ თვითოეულის ამ სერიათაგანისა იწყებიან პირველიდან და მიმდინარეობენ ცალ-ცალკე; ხოლო შემდგომთა სერიათა, დაწყებული მერვიდან, №№ სერიათა არიან ნაჩვენებნი, ვინაიდგან ამ სერიათა გირავოს ფურცლების №№ მიდიან განუწყვეტლად და ამის გამო ეს №№ არაოდეს არ განმეორდებიან. (1—1)

*Доз ценз. Тифлисъ, 4 Іюня 1885 г.* მელიქიშვილის სტამბა. გამომცემელი გ. ქართველიშვილი. რედაქტორი ი. მაჩაბელი.